

*წ. გაყიყა,  
თბილისი თანამდებრივი*

პროექტი

**საქართველოს კონსტიტუცია**  
(**გაორიქვანი კონსტიტუციაში II თავის უმჯობეს**  
**ახალი თავის ღვადატაგით)**

**თავი III**

**საქართველოს სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობა**

**მუხლი 1\*.**

საქართველოს სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობის ორგანიზაციული ფორმებია-ავტონომიური რესპუბლიკა, მხარე, ~~ოლქი~~ ქალაქი, რაიონი, დაბა, სოფელი (თემი).

2. საქართველოს მოქალაქენი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების - საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს (პარლამენტის), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის, სამხარეო საბჭოების, ქალაქის, რაიონის, დაბის, სოფლის (თემის) საკრებულოების მეშვეობით, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძვლებს.

3. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ქალაქის, რაიონის, დაბას, სოფლის (თემის) ნაწილში, მიკრორაიონებში საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნან მუნიციპალური თვითმმართველობის ორგანოები ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადასაწყვეტად. მათი უფლებამოსილებები, დამოკიდებულება შესაბამის ტერიტორიაზე არსებულ სახელისუფლებლო ორგანოებთან და მოსახლეობასთან რეგულირდება შესაბამისი ორგანული კანონით.

**მუხლი 2.**

1. საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური საკანონმდებლო - წარმომადგენლობითი ორგანოა საქართველოს პარლამენტი. საქართველოს პარლამენტი ორ პალატიანია, მის შემადგენლობაშია ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი.

2. რესპუბლიკის საბჭო შედგება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არჩეული 70 დეპუტატისაგან. რესპუბლიკის საბჭოს წევრი თითოეული დეპუტატი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე. საქართველოს ტერიტორიის დაყოფის შედეგად მიღებულ თანაბარმოსახლეობიან საარჩევნო ოლქში.

3. სენატი შედგება 44 წევრისაგან. მათ შორის საქართველოს შემადგენლობაში შემავალ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, საქართველოს მხარეებში და ქალაქ თბილისში არჩეული 39 სენატორისაგან და პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 სენატორისაგან.

4. საქართველოს პარლამენტის შემადგენლობას, მასში შემავალი პალატების უფლებამოსილებისა და არჩევის წესს განსაზღვრავს ორგანული კანონი.

### მუხლი 3.

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა წარმოადგენენ განსაკუთრებული უფლებამოსილების მქონე საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებულ სანქლმწიფო-ტერიტორიულ წარმონაქმნებს საქართველოს ფარგლებში, რომელთაც გააჩნიათ თავიანთი კონსტიტუციები.

2. მათ განსაკუთრებულ მდგომარეობას საქართველოს სანქლმწიფოს შემაღენლობაში განსაზღვრავს კონსტიტუციური შეთანხმება (კანონი), რომელიც აყალიბებს სანქლმწიფო-ტერიტორიული წარმონაქმნების სანქლისუფლებო ორგანოთა ფართო უფლებამოსილებებს მოქალაქეთა ცხოვრებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკული მოღვაწეობის სწავდასწავა სფეროებში, აგრეთვე განსაზღვრავს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთობლივ კომპეტენციასა და მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სანქლმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს.

3. კონსტიტუციური შეთანხმება (კანონი) მთლიანად აისახება საქართველოს კონსტიტუციაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში. საქართველოს ძირითადი კანონი - საქართველოს კონსტიტუცია არის უმაღლესი კანონი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მას არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, საქართველოს ტერიტორიაზე - მოქმედი ნებისმიერი საკანონმდებლო და წარმომადგენლობით ორგანოს, ყველა დონის აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა მიერ მიღებული ნორმატიული აქტები.

### მუხლი 4.

მხარის, ქალაქის, რაიონის, დაბის, სოფლის (თემის) სტატუსი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით და შესაბამისი ორგანული კანონით.

### მუხლი 5.

საქართველოს დედაქალაქის თბილისის სტატუსი განისაზღვრება ორგანული კანონით.

### მუხლი 6.

ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოებია:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა პარლამენტი (უმაღლესი საბჭო), რომელიც შეიძლება იყოს ორ პალატიანი ან ერთ პალატიანი.

2. ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტი შედგება საყოველთაო თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭის ყრით, ოთხი წლის ვადით, მაჟორიტარული სისტემით არჩეული წევრებისაგან.

მათი შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და არჩევის წესს განსაზღვრავს შესაბამისი კონსტიტუცია და ორგანული კანონები.

3. მხარის, ქალაქის, რაიონის, დაბის, სოფლის (თემის) წარმომადგენლობითი ორგანოებია საკრებულოები, რომლებიც აირჩევიან 4 წლის ვადით.

საკრებულო შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭის ყრით, მაკორიტარული სისტემით არჩეული წევრებისაგან. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საკრებულოს წევრთა არჩევის, რაოდენობის და სხვა წესებს განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი.

4. საქართველოს საკანონმდებლო და წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები შეიძლება ჩატარდეს, როგორც მთელ ტერიტორიაზე ისე ეტაპობრივად, ავტონომიურ რესპუბლიკებში და მხარეებში.

### მუხლი 7.

სახელმწიფო-ტერიტორიული წარმონაქმნების -ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური საფუძველია შესაბამისი ბიუჯეტი და საკუთრება, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური ყოველწლიური ბიუჯეტით მათთვის გათვალისწინებული სოციალურ-ეკონომიური განვითარების პროგრამები.

### მუხლი 8.

საკუთრების გამიჯვნა საერთო-სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის, სამხარეო და ადგილობრივ საკუთრებად ხდება შესაბამისი ორგანული კანონით.

### მუხლი 9.

1. ქვეყნის საბიუჯეტო მოწყობა ხდება საგადასახადო შემოსავლების გამიჯვნით ცენტრალურ, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივ გადასახადებად. ცენტრალური გადასახადების ნაწილის სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში წარმართვის მყარი, 5 წლიანი ნორმატივებით.

2. ნორმატივები დგინდება საქართველოს ორგანული კანონით და მათი გადასინჯვა დასაშვებია მხოლოდ დაბალი დონის ბიუჯეტების შემოსავლების გაზრდის მიზნით.

3. თუ ქვეყანაში სუთი წლის ან წლის განმავლობაში გაჩნდა ახალი ან დამატებითი ხარჯები იგი უნდა ანაზღაურდეს ცენტრალური ბიუჯეტიდან. ეს წესი ვრცელდება ნებისმიერი მაღალი დონის ბიუჯეტის მიმართაც შესაბამისი დაბალი დონის ბიუჯეტის მიმართ.

### მუხლი 10\*\*.

1. საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა საპრეზიდენტო მმართველობის ფორმით. საქართველოს პრეზიდენტი სააღმასრულებლო ხელისუფლებას განასრუცილებს საქართველოს მთავრობის მეშვეობით ან უშუალოდ.

2. საქართველოს მთავრობა წარმოადგენს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოს.

3. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებები ფორმდება ბრძანებებისა და განკარგულებების სახით, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი. ისინი სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან, სახელმწიფო-ტერიტორიული წარმონაქმნების კონსტიტუციებთან, საქართველოს კანონებთან. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებს გააჩნია კანონის ძალა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მათი შეუსრულებლობისათვის წესდება პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება შესაბამისი ორგანული კანონით.

4. საქართველოს სახელმწიფო-ტერიტორიული აღმასრულებელი ორგანოების სისტემაში შედის: სოფლის (თემის), დაბის, რაიონის გამგეობა, ქალაქის მერია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. ისინი ანგარიშვალდებულნი არიან შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოებისა და იმ ტერიტორიებზე მოქმედი აღმასრულებელი ორგანოების წინაშე, რომლის შემადგენლობაში შედის მათზე მინდობილი ტერიტორია.

5. საქართველოს პრეზიდენტის, როგორც საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის წინაშე საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ანგარიშვალდებულებას განსაზღვრავს შესაბამისი ორგანული კანონი.

## მუხლი 11.\*

1. სასამართლო ხელისუფლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულების და შესაბამისი ორგანული კანონებით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.

2. მართლმსაჯულების ორგანოების-საერთო სასამართლოების ტერიტორიული ორგანიზაცია, მათ მიერ სამართალწარმოების წესი განისაზღვრება კონსტიტუციით და შესაბამისი ორგანული კანონით.

3. აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას გააჩნიათ საკონსტიტუციო სასამართლოები, რომლებიც ახორციელებენ საკონსტიტუციო კონტროლს შესაბამისი კონსტიტუციების საფუძველზე, აგრეთვე საქართველოსა და შესაბამის სახელმწიფო-ტერიტორიულ წარმონაქმნებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის თაობაზე საკონსტიტუციო შეთანხმების საფუძველზე.

\* მოქმედ კონსტიტუციაში აღბათ 48-ე მუხლი და ქვემოთ ა.შ.

\*\* ეს მუხლი შეიძლება იყოს კონსტიტუციის ზოგადი დებულებების თავში.

ბაკურ გულუა

ეროვნული თანხმობის დარბაზი

ნოემბერ-დეკემბერი  
2002 წელი